

შპს „თბილისი ეარვეისი“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის



შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
საკუთარი ვაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა	10
2. მომზადების საფუძველი	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	16
5. ამონაგები	16
6. ამონაგების თვითღირებულება	17
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17
8. ზარალი საკუროს სხვაობიდან, წმინდა	17
9. ძირითადი საშუალებები	17
10. მარაგები.....	18
11. საეაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	18
12. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	19
13. მოკლევადიანი სესხები.....	19
14. საგადასახადო ვალდებულებები.....	19
15. საეაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
16. პირობითი ვალდებულებები	19
17. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	20
18. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	21
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	21

შპს თბილისი ეარვეისი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება


2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	5	1,930,469	7,394,919
ამონაგების თვითღირებულება	6	(1,515,071)	(5,493,844)
საერთო მოგება		415,398	1,901,075
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(18,365,432)	(5,356,320)
საოპერაციო მოგება		(17,950,034)	(3,455,245)
ზარალი საკუროსო სხვაობიდან, წმინდა	8	256,174	(290,092)
არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		138,985	776,802
მოგება დაბეგვრამდე:		(17,554,875)	(2,968,535)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება		(17,554,875)	(2,968,535)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(17,554,875)	(2,968,535)


ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ხელმოწერილია 2025 წლის 27 ივნისს შემდეგი პირის მიერ:

ფინანსური მენეჯერი



თ. მოდუხაძე

დირექტორი




გ. ჯაფარიძე

შპს თბილისი ეარვეისი

8-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	263,373	332,129
არანატერიალური აქტივები		1,042	1,528
		<u>264,415</u>	<u>333,657</u>
მიმდინარე ქტივები			
მარაგები	10	723,781	877,355
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	8,314,127	9,885,955
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	370,866	82,528
		<u>9,408,773</u>	<u>10,845,838</u>
აქტივები სულ		<u>9,673,188</u>	<u>11,179,495</u>
საწესდებო კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		2,751,049	2,751,049
საწესდებო კაპიტალი		(25,883,650)	(8,328,776)
გაუნაწილებელი მოგება		<u>(23,132,601)</u>	<u>(5,577,727)</u>
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	13	27,250,292	14,345,641
საგადასახადო ვალდებულებები	14	621,094	237,960
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	4,934,403	2,173,621
		<u>32,805,789</u>	<u>16,757,222</u>
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		<u>9,673,188</u>	<u>11,179,495</u>

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ხელმოწერილია 2025 წლის 27 ივნისს შემდეგი პირის მიერ:

ფინანსური მენეჯერი



თ. მოდუბაძე

დირექტორი



ფ. ჯაფარიძე



8-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს თბილისი ეარვეისი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2023 წლის 1 იანვარი	2,751,049	(5,360,240)	(2,609,191)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(2,968,535)	(2,968,535)
2023 წლის 31 დეკემბერი	2,751,049	(8,328,775)	(5,577,726)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(17,554,875)	(17,554,875)
2024 წლის 31 დეკემბერი	2,751,049	(25,883,650)	(23,132,601)

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ხელმოწერილია 2025 წლის 27 ივნისს
შემდეგი პირის მიერ:

ფინანსური მენეჯერი



თ. მოდუბაძე

დირექტორი



ფ. ჯაფარიძე



8-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების
განუყოფელი ნაწილია.

შპს თბილისი ეარაიზი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგვრამდე		(17,554,875)	(3,501,082)
კორექტირებები:			
ამორტიზაცია აქტივის გამოყენების უფლებაზე		84,348	75,709
წმინდა მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობიდან	8	(256,174)	290,092
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე		(17,726,701)	(3,135,281)
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში:			
მარაგების შემცირება		153,572	(813,479)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/ზრდა		1,738,346	(8,035,209)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების		2,834,171	101,855
ზრდა/შემცირება		383,134	37,951
საგადასახადო ვალდებულებების შემცირება			
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები		(12,617,478)	(11,844,164)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები		(12,617,478)	(11,844,164)
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	9	(15,108)	(48,855)
საინვესტიციო საქმიანობიდან გასული წმინდა ფულადი სახსრები		(15,108)	(48,855)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
მიღებული სესხი		12,904,656	11,932,595
ფინანსური საქმიანობიდან შემოსული (გასული) წმინდა ფულადი სახსრები		12,904,656	11,932,595
წმინდა ფულადი სახსრების შემცირება/ზრდა		272,070	39,576
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის		82,528	141,646
ფულისა და ფულის ეკვივალენტების გადაფასების		16,268	(98,694)
ეფექტი			
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის		370,866	82,528

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ხელმოწერილია 2025 წლის 27 ივნისს შემდეგი პირის მიერ:

ფინანსური მენეჯერი



თ. მოდებაძე

დირექტორი



ფ. ჯაფარიძე

8-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „თბილისი ეარვეისი“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ კომპანიას, დაფუძნებულია 2021 წლის 04 მარტს, საიდენტიფიკაციო ნომერი 405447342, იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, საირმეს ქ., N73, ბ. 1ა.

კომპანიის წარმომადგენლობაზე და მართვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს მისი დირექტორი: ფიქრია ჯაფარიძე.

კომპანია 2023 წლის განმავლობაში ახორციელებდა ჩარტერულ და ACMI-ის ხელშეკრულებებით ფრენებს, ხოლო 2024 წელს კი ACMI-ის ხელშეკრულებებით ფრენებს.

კომპანიის დამფუძნებელია ეკატერინე გურგენაძე (პ/ნ 42001005379) - 46 %, ავთანდილ ენუქიძე (პ/ნ 01008002651) - 5 % და თურქული კომპანია შპს ალფმან ჰავაჯილიქ თურიზმ ვე ინშაათ 49%.

2024 წელს კომპანიამ იჯარით აიღო ასალი საჰაერო ხომალდი (MSN 28573) და დაარეგისტრირა საქართველოს სამოქალაქო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში. დამატებით, ამჟამად მიმდინარეობს ოთხი სხვა საჰაერო ხომალდის სარემონტო სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგ კომპანია გეგმავს მათი ოპერირების დაწყებას უახლოეს მომავალში.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის” (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად. 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია 2025 წლის 27 ივნისს.

კომპანია იყენებს ერთი და იგივე სააღრიცხვო პოლიტიკას ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. რიცხვები ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არის არის აღნიშნული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით.

კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სჯერათ, რომ არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობას და უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფუნქციონირებას არანაირი საფრთხე არ ემუქრება და

8-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია აღნიშნული დაშვებით.

2024 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ მიღებული მთლიანი სრული ზარალი აღემატება 17 მილიონ ლარს. მიუხედავად აღნიშნული ზარალისა, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე სწორია. გამომდინარე შემდეგი გარემოებებიდან:

- კომპანიის დამფუძნებლებს აქვთ მკაფიო განზრახვა და სურვილი, გააგრძელონ და განავითარონ კომპანიის საქმიანობა;
- ზარალის არსებითი ნაწილი განპირობებულია ახალი, იჯარით აღებული ხონალდების სარემონტო სამუშაოებით.

წინა პერიოდის შეცდომები და რეკლასიფიკაციები

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას დაიდენტიფიცირდა მჯელ პერიოდში დაშვებული შეცდომები. უზუსტობები ასახულ იქნა რეტროსპექტიულად გადანაგარიშებულ იქნა შესადარისი ინფორმაცია და წარდგენილია კორექტირებული სახით. ძველი პერიოდის კორექტირებები:

1. 2024 წლის განმავლობაში კომპანიამ ჩაატარა მარაგების სრული ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაციის შედეგად:
 - მარაგების ნაწილი, რომელიც აკმაყოფილებდა შესაბამის კრიტერიუმებს, აღიარებულ იქნა ძირითად საშუალებად;
 - ხოლო ის მარაგები, რომლებიც ფაქტობრივად იყო მოხმარებული, თუმცა არ იყო შესაბამისად ჩამოწერილი წინა პერიოდებში, აღიარებულ იქნა ხარჯად რეტროსპექტიული მიდგომით.

აღნიშნული ცვლილებები ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი კორექტირებების სახით.

2. 2024 წელს კომპანიამ განხორციელა საფაქრო და სხვა მოთხოვნების, საგადასახადო ვალდებულებების, ასევე საფაქრო და სხვა ვალდებულებების წარდგენის ცვლილება. ცვლილებების მიზანი იყო აღნიშნული ელემენტების უფრო ზუსტი და გამჭვირვალე წარმოდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში მოქმედი ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად.

3. შენიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ზოლო გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

8-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს თბილისი ენერჯისი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 USD/GEL	2.8068	2.6894
1 EUR/GEL	2.9306	2.9753
2024 წლის საშუალო კურსი 1 USD/GEL - 2,7182 1 EUR/GEL 2,9412		
2023 წლის საშუალო კურსი 1 USD/GEL 2,6279 1 EUR/GEL 2,8416		

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებს. ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, ანუ გაუფასურების გამოკლებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურებისა, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთობათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

8-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულებას სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრულ შემოსავალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებულია პირვანდელ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ხარჯის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის საშუალო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რეკონტექთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას შემდეგ, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
კომპიუტერული ტექნიკა	3-7
ტექნიკური ინსტრუმენტები	3-15
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-7
სატრანსპორტო საშუალებები	5-7

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან და გადაიწეებასთან დაკავშირებულ და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. სავაჭრო ფასდათმობები და გადასახადები რომლებსაც კომპანია საგადასახადო ორგანოსგან იბრუნებს არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯებში.

8-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს FIFO მეთოდს.

კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარგალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ყოველ საანგარიშო პერიოდში ხდება მარაგების შეფასება გაუფასურებაზე. თუ აღმოჩნდა, რომ მარაგები გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის ფასს მინუს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15%. ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე და მისი მოცულობა არ არის წინასწარ განსაზღვრული.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა დივიდენდის გამოცხადება. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიშარტება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებში.

ამონაგები

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მოსაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაითვლება ფასდათმობები. კომპანია ამონაგებს აღიარებს, როდესაც შემდეგი პირობებია შესრულებული:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

8-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გაუგონას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს უწყვეტობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - გაუფასურების რეზერვის დარიცხვა ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (როგორიცაა კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიმძნელები, დეფოლტი, გადახდის პირობების მნიშვნელოვანი დარღვევა), რომ კომპანია ვერ მიიღებს თანხას მთლიანი მოცულობით, ხოლო რეზერვის თანხა წარმოადგენს წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაუფასურებული მოთხოვნის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობას. როდესაც დასტურდება, რომ კომპანია ვერ მიიღებს მოთხოვნებში არსებულ თანხებს მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამის რეზერვთან.

5. ამონაგები

	2024	2023
ჩარტერული რეისები		1,936,903
შემოსავალი თვითმფრინავის გაქირავებიდან ACMI)	1,930,469	5,458,016
	<u>1,930,469</u>	<u>7,394,919</u>

6. ამონაგების თვითღირებულება

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(960,284)	(2,431,397)
საწვავის ხარჯი	(117,469)	(973,036)
ჰენდლინგური მომსახურება	(119,913)	(898,531)
სანავიგაციო და სხვა საფრენოსნო მომსახურება	(312,039)	(1,053,423)
სხვა	(5,365)	(137,458)
	<u>(1,515,071)</u>	<u>(5,493,844)</u>

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
ტრანსპორტირება და ავტოსატრანსპორტო უზრუნველყოფა	(1,975,373)	(333,946)
შრომის ანაზღაურება	(90,782)	(78,196)
დაზღვევა	(797,313)	(947,116)
ოჯარის ხარჯი	(1,421,385)	(982,286)
საწვავის ხარჯი	(61,490)	-
ლიცენზიებისა და სერტიფიცირებასთან დაკავშირებული ხარჯები	(62,767)	(39,662)
საკანცელარიო და ოფისის შენახვის ხარჯები	(24,475)	(32,854)
ცვითა და ამორტიზაცია	(84,348)	(78,003)
მიწისფლობა	(166,430)	(185,144)
ბანკისა და სხვა საკომისიო ხარჯები	(27,043)	(29,116)
პროფესიული და საკონსულტაციო ხარჯი	(36,727)	(28,000)
მიმდინარე რემონტი და ტექნიკური მომსახურება	(13,458,897)	(2,437,812)
ჰენდლინგური მომსახურება	(2,261)	(173,119)
სხვა	(156,142)	(11,066)
	<u>(18,365,432)</u>	<u>(5,356,320)</u>

8. ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა

	2024	2023
ეფექტი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე	16,268	15,287
ეფექტი სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე	239,906	(305,379)
	<u>256,174</u>	<u>(290,092)</u>

შპს თბილისი გარევისი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	კომპიუტერული ტექნიკა და ტექნიკური ინსტრუმენტები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ბალანსი 2023 წლის 1 იანვარი	245,031	60,597	102,042	407,670
შემოსვლა	44,571	4,285	-	48,855
გასვლა	-	-	-	-
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	289,602	64,882	102,042	456,526
შემოსვლა	7,985	1,123	6,000	15,108
გასვლა	-	-	-	-
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	297,587	66,005	108,042	471,634
დაგროვილი ცვეთა				
ბალანსი 2023 წლის 1 იანვარი	(25,571)	(7,483)	(15,634)	(48,688)
ცვეთა	(49,097)	(9,569)	(17,044)	(75,709)
გასვლა	-	-	-	-
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	(74,667)	(17,052)	(32,678)	(124,397)
ცვეთა	(55,181)	(11,094)	(17,590)	(83,865)
გასვლა	-	-	-	-
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	(129,848)	(28,145)	(50,268)	(208,261)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	214,934	47,830	69,364	332,129
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	167,738	37,860	57,775	263,373

10. მარაგები

	31.12.2024	31.12.2023
Expendable	229,491	254,212
Consumables	61,432	100,618
Rotable	428,512	418,023
სხვა და სხვა	4,346	104,502
	723,781	877,355

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2024	31.12.2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	6,415,811	8,176,587
მომოწოდებელზე გადახდილი ავანსები	1,898,315	1,689,368
სხვა მოთხოვნები	-	20,000
	8,314,127	9,885,955

8-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს თბილისი ეარვეისი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	-	69,126
ფული ბანკში	370,866	13,402
	<u>370,866</u>	<u>82,528</u>

13. მოკლევადიანი სესხები

	2024	2023
ეკატერინე გურგენაძე	20,641,306	14,345,641
შპს ალფიან ჰავაჯილიქ თურიზმ ვე ინშაათ	5,643,377	-
ჯაფარიძე ფიქრია	965,609	-
	<u>27,250,292</u>	<u>14,345,641</u>

აღნიშნული სესხები წარმოადგენს 0% მოთხოვნამდე სესხს, რომლის დაბრუნება უნდა განხორციელდეს მოთხოვნის დოკუმენტის მიღებიდან არაუგვიანეს სამი თვისა.

14. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი საბაზისო კოდით. შედეგად კომპანიამ წარადგინა საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო ვალდებულება. საგადასახადო ვალდებულებამ 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგენს 621,094 და 237,960 ლარს.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	4,157,165	1,779,739
სხვა	479,728	393,882
	<u>4,636,893</u>	<u>2,173,621</u>
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	297,510	-
	<u>297,510</u>	<u>-</u>
	<u>4,934,403</u>	<u>2,173,621</u>

16. პირობითი ვალდებულებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები

8-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. საკარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული. მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

სასამართლო დავები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

საოპერაციო გარემო

განვითარებადი ბაზრები, როგორცაა საქართველო, ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს, სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, როგორცაა ეკონომიკური, პოლიტიკური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკები. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესზე, სწრაფად იცვლება, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები კი სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში განვითარებულ მოვლენებთან ერთად.

17. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცელა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი იმყოფრმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის „გამოილი ხელის მანძილის პრინციპით“. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა, აქედან გამომდინარე, ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მოუთხოვს იმ თანხას, რომლის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციის შემთხვევაში. კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,314,127	8,314,127	9,885,955	9,885,955
ფული და ფულის ეკვივალენტები	370,866	370,866	82,528	82,528
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,934,403	4,934,403	2,173,621	2,173,621
მოკლევადიანი სესხები	27,250,292	27,250,292	14,345,641	14,345,641

8-21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

18. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 - ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

- (ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი;
- (ე) თვების ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია(ა) ან (დ)-ში;
- (ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზედაც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.
- (ზ) დასაქმების შემდგომი შედგატების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია ქვემოთ:

ურთიერთობის ტიპი	2024	2023
დამფუძნებელი, ეკატერინე გურგენაძე	20,641,306	14,345,641
დამფუძნებელი, შპს ალოფმან		
პაეჯილიქ თურიზმ ვე ინშაათ	5,643,377	

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე არ მომხდარა ისეთი მოვლენა რაც მოითხოვს ინფორმაციის წარდგენას ფინანსურ ანგარიშგებაში.